# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კოსტანტინე შარაშენიძე გახდა

12 ნოემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (35 309 მოქალაქე) 50,11 პროცენტმა მხარი კოტე შარაშენიძეს დაუჭირა.

**კოსტანტინე შარაშენიძე:** მზად ვარ ვემსახურო ხალხს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს, ასევე იმ ადამიანებს ვისაც სხვა პოზიცია ეკავა. განსხვავებული აზრი ეს ხომ ბუნებრივი პროცესია, ამაში ცუდს ჩვენ ვერაფერს ვერ ვხედავთ. მე ყველას ვეუბნები, რომ მიუხედავად იმისა, ვის მისცა ხმა, მზად ვარ ყველასთან თანამშრომლობისთვის–განაცხადა შარაშენიძემ.

# საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე საჩივრები განიხილეს

**ალიონი.** 14 ნოემბერს, ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელმაც საარჩევნო უბნებზე მომხდარი 23 საჩივარი განიხილა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ წარდგენილი საჩივრები ძირითადად სხვადასხვა დარღვევებს ეხებოდა. მაგალითად, სილაურის №44 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა კაბინის გარეშე („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების “ საჩივარი); მშვიდობაურის №22 საარჩევნო უბანში კომისიის ორმა წევრმა დაგვიანა 30 წუთით (საია-ს საჩივარი); ზემო ნატანების საარჩევნო უბანში სწორად არ შეავსეს საკონტროლო ფურცელი („სამართლიანი არჩევნები“).

სამართლიანი არჩევნების წარმომადგენლის **მაკა მალაყმაძის** საჩივარი ბოხვაურის №23 საარჩევნო უბანზე მომხდარ დარღვევას შეეხებოდა. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემები გადასწორებული იყო.

საარჩევნო კოდექსის 70-71 მუხლის შესაბამისად „თუ შემაჯამებელ ოქმის შევსებისას შეცდომა იქნა დაშვებული, შეცდომის გამოსასწორებლად კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემების გასწვრივ კეთდება ჩანაწერი „შესწორებულია.“ საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს შესწორების ოქმს. შესწორების ოქმს დაესმება საარჩევნო კომისიის ბეჭედი. გატარდება ჩანაწერთა წიგნში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც შეტანილი მონაცემები გასწორდა.“ამ დარღვევის გამო ითხოვდა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი მაკა მალაყმაძე საუბნო კომიის

გვ-3


# ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 46 (10240) 20 ნოემბერი, 2017 წ. ფასი 30 თეთრი.


# როგორი იქნება შეკვეთილში მშენებარე სასტუმრო Paragraph Hotel & Spa Resort-ი

შეკვეთილში თანაინვესტირების ფონდის მიერ დაფინანსებული 5*-იანი სასტუმრო **Paragraph Hotel & Spa Resort**-ის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 80 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

**Paragraph Hotel & Spa Resort**-ში იფუნქციონირებს 5 სხვადასხვა კატეგორიის 220 ნომერი ხედით ზღვაზე, 2000 მ მოცულობის აკვარიუმი და ზღვაში 150 მ-ზე შეჭრილი აუზი.

სასტუმრო იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში და მისი კონცეფციიდან გამომდინარე, დამსვენებლებს შეეძლებათ წელიწადის ნებისმიერ დროს სტუმრობა.

გარდა დასვენებისა, სასტუმრო მომხმარებელს სთავაზობს კონფერენციებისა და ფორუმებისთვის სრულად აღჭურვილ საკონფერენციო დარბაზებსა და შეხვედრების ოთახებს.

სასტუმროში განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რომელთათვისაც როგორც სხვადასხვა კატეგორიის ნომრებში, ასევე სასტუმროს მთელს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურა.

შეკვეთილის სასტუმრო, უმაღლესი ხარისხის მომსახურებების და სტანდარტების გარდა, სტუმრებს შესთავაზებს სხვადასხვა საინტერესო გასართობ ღონისძიებებსა და გასვლით ტურებს.





# „რად მინდა დახმარება, მუშაობა რომ შემეძლოს“

## სახელმწიფოს დახმარების იმედად დარჩენილი და-ძმა

ქვეყანაში, ჩვენს ქალაქში მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე ხშირად გვიწევს წერა ადამიანებზე, რომლებსაც ცხოვრება უკიდურეს სიდუხჭირეში უწევთ. დღესაც იგივე პრობლემას ვეხებით. მოგიყვებით და-ძმაზე, რომლებიც, მძიმე მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, სოციალურ დახმარებას ვერ იღებს.

**თინა და არჩილ მგელაძეები** ნინოშვილის ქუჩაზე მარტო ცხოვრობენ. თინა დაოჯახებული არ ყოფილა. არჩილის ცოლ-შვილი დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობს. შესაბამისად ოჯახში შრომისუნარიანი წევრი არაა. „რად მინდა დახმარება, მუშაობა რომ შემეძლოს“, -გვიყვება თინა თავის მდგომარეობაზე. ქალბატონი თინას დიაგნოზი ართროზია. დაზიანებული აქვს მუხლის სახსრები, უჭირს გადაადგილება, სარგებლობს ეტლით. 64 წლისაა და შესაბამისად იღებს ასაკის პენსიას 180 ლარის ოდენობით. არჩილმა 8 წლის წინ ინსულტი გადაიტანა, ჯერ საპენსიო ასაკის არაა ამიტომ აქვს მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსია - 100 ლარი.

გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**ვიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**
**ტელ: 558 499 100 გაზეთი**
**რეგისტრირებულია**
**ოზურგეთის რაიონულ**
**სასამართლოში 18. 11. 2004**
**№44/4-311**
**გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“**
**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**



**დაინყეთ ყოველი ოთშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# „რად მინდა დახმარება, მუშაობა რომ შემეძლოს“

### სახელმწიფოს დახმარების იმედად დარჩენილი და-ძმა



სულ ესაა ოჯახის შემოსავალი.

თინა მგელაძე: „ჩვენი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა. თავის გატანაში მერია და მერი გვეხმარებოდა. ყოველ წელს მოჰქონდათ შეშა. მომიტანეს ეტლი, პროდუქტი, წამალი, შემომიყვანეს გაზი. იმედია, ახალი მერიც მოგვაქცევს ყურადღებას. არაფერი გვაქვს ისეთი, რის გამოც სოციალური დახმარება არ უნდა გვქონდეს. შემოსავალი, შენაძენი. არც ტექნიკა - მაცივარი, სარეცხის მანქანა, მარტო ტელევიზორია გვაბადია. პატარა ეზო გვაქვს, მაგრამ დიდი ნაკვეთიც რომ იყოს, მაინც არ შეგვიძლია ფიზიკური მუშაობა. სახლის უკანა ნახევარი ავარიულია, მეწყერმა უკან დასწია. საჭმელს დამჯდარი ვაკეთებ, ჩემი ძმაც მეხმარება. არჩილს მარტო სიარული შეუძლია. უფასო სასადილოში დადის და ჩვენი წილი საკვები მოაქვს.“

ამ დროისთვის ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულა,რომელიც გასული წლის 31 აგვისტოს მიანიჭეს 86380-ია. ბოლოს მგელაძეებთან სოციალური აგენტი დეკლარაციის შესავსებად 15 დღის წინ იყო. პასუხი ქულათა რაოდენობის შესახებ ოჯახმა ჯერ არ იცის.

თინათინ ლომჯარია, გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსი: 2015- 2016 წლებში ოჯახი არ ყოფილა დახმარების მიმღები. ბოლოს დეკლარაცია შეივსო მიმდინარე წლის 5 ნოემბერს. დღეის მდგომარეობით დამუშავების პროცესშია ქულა, რასაც ერთ თვე დასჭირდება.

# სოფელ ჭანიეთში რკინა-ბეტონის გზა იგება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში რკინა-ბეტონის გზის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, არჩილ ყაზაიშვილი ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

60 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარი გურგენ ლომჯარიას უბანში, რთულ საგზაო მონაკვეთზე მოეწყობა.

პროექტის ღირებულება 7 570 ლარს შეადგენს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია შპს „გურია-2015“ აწარმოებს.

„ვაგრძელებთ სოფლებში შიდა გზების რეაბილიტაციას, გარდა ჭანიეთისა, დასრულების სტადიაშია მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე უბნის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მაგალითად, გოგორეთში, ჭარხალაშვილებისა და ვასაძეების უბანში ჯამში 170 მ სიგრძის რკინა-ბეტონის საფარი მოეწყობა. მიმდინარეობს ნაღობილევის 120-მეტრიანი გზის მშენებლობა ბაქანიძეების უბანში. ასევე, ფხაკაძეების უბანში. უახლოეს დღეებში სოფელ მშვიდობაურში დაიგება 150 მ სიგრძის რკინა-ბეტონის საფარი,“- აღნიშნა არჩილ ყაზაიშვილმა.

# „მერცხალი“ მე-12 ადგილზეა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგის („ა“ ჯგუფი) 27-ე ტურის მატჩში ლიგის ჩემპიონმა ჩოხატაურის „ბახმარომ“ მარტვილში მატჩი დათმო გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილზე მყოფ „სალხინოსთან,“ 1:2 და კიდევ უფრო დაამძიმა ოზურგეთის „მერცხალის“ მდგომარეობა. ოზურგეთელებმა წინა ტურში სენაკის „ეგრისს“ სძლია 4:0 და ათეულში მოხვედრის შანსი მიეცა, თუმცა ოზურგეთელები 17 ნოემბერს, ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩში, ბათუმში დამარცხდა „დინამო 2“–თან 2:6 და მე-12 ადგილზე გადაინაცვლა.

26 ტურში „მაჭახელამ“ „ლესიჭინეს“ უმასპინძლა. დაძაბული ბრძოლა ფრედ 2:2 დამთავრდა. ბოლოსწინა ტურში კი „ლესიჭიმემ“ საირმეს 2: 1 სძლია, ხოლო „სამგურალი 2“-მა „ზანა“ 8:1 დაამარცხა.

ბოლო ტურის წინ „ბახმაროს“ 65 ქულა აქვს: „მაჭახელას“ და „სამგურალი 2“-ს 59-59, „ლესიჭინეს“ 58.

ბოლო ტურში გაირკვევა მე-2 ადგილის ბედი: „მაჭახელა“ „ზანას“ უმასპინძლებს, „სამგურალი 2“– „რაჭას,“„ბახმარო“–„ლესიჭინეს“. რაც შეეხება „მერცხალს“ იგი ბოლო ტურში ხულოს „ხიხანს“ შეხვდება.

# მილოცვა

**გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირი ვულოცავთ ბატონ კოტე შარაშენიძეს გაერთიანებული მუნიციპალიტეტის მერად არჩევას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და გამარჯვებას ცხოვრებაში.**
**რეგიონის პენსიონერთა გამგეობის სახელით, გურამ ცერცვაძე**

# დაიწყო სოფლების: წითელმთა - მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, არჩილ ყაზაიშვილმა და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, გოჩა აბაშმაძემ დაათვალიერეს.

მიმდინარეობს 2-კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტება.

პროექტი ითვალისწინებს სანიაღვრე არხებისა და ეზოში გადასასვლელების მოწყობას, მილხიდებისა და გაბიონების მონტაჟს.

სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულებაა 1 345 000 ლარი.

წითელმთა - მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას ახორციელებს სამშენებლო კომპანია „გზამშენი-18.“

# ურეკში უახლოეს მომავალში ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღი აიგება

უახლოეს მომავალში, ასეთ ულტრათანამედროვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ივლიან ურეკელი პატარები!!!

უღრმესი მადლობა „ასოციაცია ატუსა“ და ფონდ „ქართუს“, რომელთა თანადგომით, გულისხმიერებითა და დაფინანსებით ხორციელდება ეს უნიკალური პროექტი!

# საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე საჩივრები განიხილეს

თავმჯდომარის მდივნის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, მაგრამ კომისია მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა.

ნასაკირალის №16 საარჩევნო უბანში საია-ს დამკვირვებელმა **ნიკა რურუამ** კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში დააფიქსირა, რომ 16 ბიულეტენზე არ იყო რეგისტრატორის ხელმოწერა (მიღებული 16 ხმა არჩევნებში მონაწილე მხოლოდ ერთი და იგივე კანდიდატს ეკუთვნოდა). აღნიშნული ბიულეტენები ბათილად იქნა მიჩნეული. საოლქო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით, კომისიის თავჯდომარე ნუგზარ ვაშაყმაძეს დაეკავება ხელფასის 50 პროცენტი.

დამკვირვებელმა თეონა ქარქაშაძემ ქ. ოზურგეთის №10 ექადიის საარჩევნო უბანზე დააფიქსირა, რომ 3 ამომრჩეველს მარკირება მარცხენა ხელის თითზე გაუკეთეს.

აღნიშნული საჩივრის გარშემო საუბნო კომიის თავმჯდომარე **დალი მიქაძემ** განმართა, რომ სამი პირიდან ერთს არ ჰქონდა მარჯვენა ხელის ფალანგი, ერთს ტრავმის გამო თაბაშირი ჰქონდა ჩასმული, ხოლო მესამეს -დამწვარი.

–საარჩევნო კოდექსის (მუხლი 60, 64,65) შესაბამისად თუ მარკირება მარჯვენა ხელის ცერის ან მარჯვენა ხელის სხვა თითებზე შეუძლებელია, მარკირება იმავე წესით მარცხენა ხელზე კეთდება–განმარტა №10 საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დალი მიქაძემ.

საია-ს წარმომადგენელმა **ილონა დიასამიძემ** ფამფალეთის №28 საარჩევნო უბანში გამოავლინა: „ნაკადის მომწესრიგებელმა ნარა კიკაჩეიშვილმა შეამოწმა მოქალაქის პირადობის მოწმობა, მარკირება წესის შესაბამისად და მოქალაქემ გადაინაცვლა რეგისტრატორ მაია ვაშალომიძესთან, რომელმაც შეამოწმა პირადობის მოწმობა, პირი იპოვა ამომრჩეველთა ერთიან სიაში და ხელი მოაწერინა მისთვის განკუთვნილ ველში. ამ დროს ვთხოვე მოქალაქეს ეჩვენებინა პირადობის მოწმობა, რა დროსაც აღმოვაჩინე, რომ პირადობის მოწმობა ვადაგასული იყო, დაახლოებით ერთი წლის. მოქალაქეს ხმა არ მიუცია. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მაია ვაშალომიძეს დააკისროთ დისციპლინარული პასუხისმგებლობა“–აღნიშნულია საჩივარში.

საოლქო კომისიამ ნარუჯის №13 საუბნო კომისიაში მომხდარ დარღვევებზე საიას დამკვირვებელმა **არჩილ გოგბერაშვილმა** 18 საათსა და 20 წუთზე დაწერა საჩივარი.

დარღვევის არსი: 17 საათსა და 20 წუთზე უბანზე მივიდა ამომრჩეველი მარიამ ეგოროვა, რომელმაც გამოთქვა საყვედური იმის გამო, თუ რატომ არ მიიტანეს გადასატანი ყუთი მასთან. ამის შემდეგ მას ხმა მიაცემინეს ერთიანი სიის მიხედვით საარჩევნო უბანზე. შემდგომში, როგორც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დამკვირვებელმა, არჩილ გოგბერაშვილმა აღმოაჩინა, აღნიშნული ამომრჩეველი ნამდვილად იყო შეყვანილი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში და მის გრაფაში გაკეთებული იყო ხელმოწერა, რომელიც განსხვავდებოდა ერთიან სიაში არსებული ხელმოწერისაგან.

აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით საია-ს დამკვირვებელმა საჩივარი წარადგინა საუბნო-საარჩევნო კომისიაში გადასატანი ყუთის ბიულეტენის ბათილად ცნობის, საუბნო-საარჩევნო კომისის თავმჯდომარის, რეგისტრატორისა და გადასატანი ყუთის წამღები კომისიის ორი წევრისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის დაკისრების მოთხოვნით.

აღნიშნულ უბანზე მომხდარ დარღვევებზე ასევე განცხადება ჰქონდა შეტანილი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს **ავთანდილ მექვაბიშვილსაც.**

საოლქო კომისიამ ყუთის ბათილობაზე საჩივარი დააკმაყოფილა, თუმცა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის **ზვიად თენიეშვილის** მიერ სხვა პროცედურები ყუთის გარშემო არ ჩატარებულა, რადგან მისი თქმით, ეს ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, საუბნო კომისიის თავმჯდომარე გუგული საღინაძეს და კომისიის ორ წევრს მიეცათ გაფრთხილება.

საოლქო კომისიის ხანგრძლივი მსჯელობის საგანი გახდა ნასაკირალის №59 უბანზე მომხდარი დარღვევა.

### საიას საჩივარი:

„გაცნობებთ, რომ №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №59 ნასაკირალის საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში (№0274) ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობად მიჩნეულია 34, რაც, სავარაუდოდ, წარმოადგენს არასწორ მონაცემებს შემდეგი გარემოების გათვალისწინებით:

აღნიშნულ უბანზე ხმების დათვლისას ბათილად იქნა მიჩნეული ისეთი ბიულეტენები, რომლებშიც ერთი კანდიდატი იყო შემოხაზული, ხოლო მეორე –გადახაზული, რასთან დაკავშირებით აც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დამკვირვებელმა, არჩილ გოგბერაშვილმა აღმოაჩინა, აღნიშნული ამომრჩეველი 2017 წლის 12 ნოემბერს, 23 საათსა და 17 წუთზე საჩივარი წარადგინა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში ბათილი ბიულეტენების ნაწილში შედეგების ხელახალი გადათვლისა და ბათილი ბიულეტენების ნამდვილად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, 2017 წლის 13 ნოემბერს იგივე დარღვევაზე საჩივარი მომჩივანის მიერ უშუალოდ წარმოდგენილია საოლქო საარჩევნო კომისიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ა) „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“დამკვირვებლის, ილია გორდელაძის საჩივრის საფუძველზე მოახდინოთ ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლა/შემოწმება და ბათილად არასწორად მიჩნეული ბიულეტენების ხელახალი გადათვლა/შემოწმება და ბათილად არასწორად მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილად ცნობა; ბ) შეცვალოთ №59 საუბნო საარჩევნო კომისიის კენწისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები შემოწმების შედეგების შესაბამისად.“

აღნიშნულს ადასტურებს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ დამკვირვებელი **ვლადიმერ თებიძე.** (კომისიის თავმჯდომარე ლელა ლომთაძე, მოადგილე შუქრი პაიჭაძე, მდივანი ხათუნა ირემაძე.

სხდომაზე ნასაკირალის №59 საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მისი აზრი, რომ ასეთი ბიულეტენები ბათილად არ ჩაეთვალათ, არ გაითვალისწინეს.

**ვლადიმერ თებიძე:** – დღის განმავლობაში არჩევნები ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ უბანზე 14 თუ 16 ბიულეტენი იყო უტევდო.

**თამაზ ტრაპაიძე,** საია: –ბათილი ბიულეტენების კონვერტი უნდა იქნას გახსნილი.

**ლელა ლომთაძე,** კომისიის თავმჯდომარე: – არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. პრობლემები ხმების დათვლის დროს დაიწყო. 3 მთვლელი გვყავდა, გადმოაწყვეს ეს საეჭვო ბიულეტენები.

თანდათან ბრძოლის ველი გახდა, განსაკუთრებით 2 ადამიანი იბრძოდა. ყველა მოსული, დამკვირვებელი თუ ჟურნალისტი მე მიყვიროდა, მებრძოდნენ. წნევა 180 გამიხდა. ცუდად შევიქენი...

თუ ვინმე თვლის, რომ მე არასწორად გავაკეთე რაიმე, დაეწერა საჩივარი და შევწყვეტდი. აქ იყო ცეესკო-ს წარმომადგენელი, ბატონი რამაზიც.

საოლქო კომისიის სხდომის წევრებმა, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლება, ჟურნალისტებმა სხდომაზე წარმოდგენილი ვიდეომასალაც ნახეს. ვიდეოში ჩანს, რომ ხმის დათვლისას შენობაში სამკერდე ნიშნების გარეშე უცხო პირები იმყოფებიან...

სხდომაზე აღნიშნული უბანზე სხვა დაღვევის შესახებ („ახალი თაობა, დემოკრატიული არჩევნები“). ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის, გია გარსევანიშვილის მიერ საოლქო კომისიაში შეტანილ საჩივარში წერია, დამკვირლებლების ერთ ჯგუფს ამ უბანზე შეეძლო პირად ინფორმაციაზე წვდომა, რადგან ისინი იდგნენ კომისიის წევრების უკან და აკვირდებოდნენ საარჩევნო სიებს. კენჭისყრის შენობა იყო მოუმზადებელი და დაუცველი სამკერდე ნიშნების გარეშე უბანზე იმყოფებოდნენ უცხო პირები; ნამდვილი ბიულეტენები ბათილად იქნა მიჩნეული.

დამოუკიდებელი მერობის კანდიდატის, კონსტანტინე შარაშენიძის წარმომადგენელმა, იურისტმა კახა ჩავლეიშვილმა განმარტა, რომ საჩივარი ხარვეზითაა ოლქში შეტანილი, რადგან მასზე თარიღი არაა მითითებული, რაც კანონის შესაბამისად არ ექვემდებარება განხილვას.

საოლქო საარჩევნო კომისიამ საია-ს შეტანილი საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო „ახალი თაობა, დემოკრატიული არჩევნების“ საჩივარი უბნის ბათილად ცნობის შესახებ არ განუხილავთ..

ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გასაჩივრების ვადა16 ნოემბერს, 18 საათზე ამოიწურა.სასამართლოში სარჩელი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატის წარმომადგენლობიდან არ შესულა.

მომავალ კვირაში კონსტანტინე შარაშენიძე მერის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

## დასვა

# „არ მინდა ბავშვები რომ გაიზრდებიან, ვინმემ უთხრას, დედაშენმა მამაშენი დააჭერინაო"

მარი კოძოევი

8 ნოემბერს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე მარინა კიკნაძეს ყოფილი ცოლ-ქმრის საქმე უნდა განეხილა. მხარეთაგან ორივეს მოსარჩელე ა.თ-ს და მოპასუხე თ.ი-ს სურდა, შვილები თავისთან დაეტოვებინა. ორივე მათგანი მიიჩნევდა, რომ თავად უკეთესად შეასრულებდა მშობლის მოვალეობებს, ამასთან, ოჯახში ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის შესაფერისი პირობები ჰქონდა. ბავშვების დედა ყოფილ მეუღლეს ძალადობაშიც ადანაშაულებს. საუბრობს დედამთილ-მამამთილის მხრიდან ცუდ მოპყრობაზეც. „ძალადობას ჰქონდა ადგილი ბავშვების თანდასწრებითაც. ამიტომაც გამოვიძახე საპატრულო პოლიცია. სანამდე უნდა აიტანოს ადამიანმა?! თავს ხომ არ შევწირავ. მაგრამ არც ის მინდა, დაიჭირონ და ბავშვები რომ გაიზრდებიან, ვინმემ უთხრას დედაშენმა მამაშენი დააჭერინაო"- გვეუბნება თ.ი.

წყვილი არაერთხელ დაშორდა. გაყრის პროცესიც დაწყებული იყო. მერე შერიგება სცადეს. „სანამ დავცილდებოდით, ბანკებიდან სესხი გამომატანინეს დაძალებით. ალიმენტიც არ გადაუხდია წელიწადი და სამი თვე. ამ ვალდებულებებისთვის რომ თავი აერიდებინა ალბად ამიტომაც გადაწვიტა შერიგება. რამდენიმე დღეში მომაწერინა ხელი საქმის შეწყვეტაზე. ამით ვალდებულებები აიცილა თავიდან. იმ დროს, როცა ამბობდა, რომ არ ჰქონდა საშუალება და იმიტომ ვერ იხდიდა ალიმენტს, სახლში შენაძენები აქვთ. არასდროს უვლიდა ბავშვებს. არც ახლა უნდა ბავშვები. მეურვეობას მხოლოდ ჩემს გასამწარებლად ითხოვს. ბავშვებიც არ ახსენებენ მამას. რომ ვკითხე, ცოტა ხნით მამასთან თუ წახვალთ- მეთქი თუ შენც წამოხვალ, კი თუ არადა, მეც არ წავალო უფროსმა,“ - გვიყვება ბავშვების დედა.

არგუმენტები და პრეტენზიები აქვს მამასაც. მისი თქმით, ბავშვები ახლა დედასთან, ბებიასთან, ბაბუასთან, დეიდასთან და დეიდაშვილთან ერთად ორ ოთახში ცხოვრობენ. თვითონ კი კეთილმოწყობილ სახლს სთავაზობს შვილებს. ასევე მისი სახლი უფრო ახლოსაა ქალაქთან. ბავშვებიც უპრობლემოდ რჩებიან მამის ოჯახში. იყვნენ კიდეც ერთი თვე დედის გარეშე, როცა თ.ი. სამუშაოდ თურქეთში იყო წასული. ამბობს, რომ ბავშვების ნახვა რამდენჯერმე მოინდომა, მაგრამ ყოფილმა სიდედრმა და სიმამრმა არ დართეს ნება, ფიზიკური შეურახყოფაც მიაყენეს.

ორივემ განაცხადა, რომ ამჯერად დაშორების გადაწყვეტილებას არ შეცვლის. ისინი ცალკ-ცალკე წლევანდელი 22 აგვისტოდან ცხოვრობენ.

მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზა. სხდომას ესწრებოდა სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი. მან სასამართლოს დასკვნა წარუდგინა, სადაც ეწერა: „სოციალური მომსახურების სააგენტოს გურის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს, როგორც მეურვეობა-მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ საქმე №2-728-17-თან დაკავშირებით დაევალა შეისწავლოს მოსარჩელე ა.ძ.-ისა და მოპასუხე თ.ვი-ს საცხოვრებელი პირობები, არამარტო მატერიალური, საშინაო, საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, არამედ ბავშვების ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნის გათვალისწინებით. მოსარჩელე ა. თ.-ძე, მშობლებთან ერთად, ცხოვრობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში. საცხოვრისი წარმოდგენილია კერძო ორსართულიანი კაპიტალური სახლით და საკმაოდ დიდი ეზოთი. სახლში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია, სველი წერტილების მდგომარეობა ნორმალურია. ოჯახის შემოსავალი განისაზღვრება ორი წევრის პენსიით განსაზღვრული თანხით, ასევე ორი წევრის კერძო საქმიანობიდან მიღებული თანხით, რაც თვის განმავლობაში საშუალოდ 800 ლარამდე აღწევს. ა.თ-ძის ოჯახში არის კეთილსაიმედო გარემო ბავშვის არა მხოლოდ დროებით განსათავსებლად, არამედ ნორმალური აღზრდისთვის, ვინაიდან იქ ბავშვების რამდენიმეთვიანი თანაცხოვრების (მათ შორის ბიოლოგიურ დედასთან ერთად) პერიოდში მთელი ოჯახი მობილიზებული იყო ბავშვების ნორმალური განვითარების, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის ნორმალიზაციის მიმართულებით,. შემეცნებითი სპექტრის გაფართოვების მიზნით პერიოდულად ბავშვები დაყავდათ ქ. ბათუმში და ქ. თბილისში, სადაც მათი ასაკის გათვალისწინებით აძლევდნენ სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების გაცნობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები არიან მცირეწლოვანები, დედის გარეშე უპრობლემოდ, ლაღად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს მამის და ბებია-ბაბუას გარემოცვაში. თ.ი.-ვი მამასთან, დასთან, მცირეწლოვან დისშვილთან და თავის ბიოლოგიურ შვილებთან ერთად, ცხოვრობს ოზურგეთის სოფელ ნატანებში. საცხოვრისი წარმოდგენილია ერთსართულიანი სახლით, სადაც გამოსაყენებელია მხოლოდ ორი პატარა ოთახი, რომელიც პირდაპირ მიწაზე დგას და ასევე არის მრავალმხრივ დანიშნულების (საძინებელი, სასადილო, მისაღები). ოჯახის წევრების ინფორმაციით, მათ აქვთ საკმაოდ სოლიდური შემოსავალი მშობლების კერძო საქმიანობიდან, დაახლოებით 2500 ლარამდე ყოველთვიურად. ოჯახში ბავშვებზე განხორციელებული ზრუნვა დამაკმაყოფილებელია. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ორივე მშობელთან ურთიერთობა. თ.ი.-ვის ინფორმაციით, მას ჰქონდა შეთანხმება ყოფილ მეუღლესთან იმის თაობაზე, რომ დასვენების დღეებში ბავშვები წაეყვანა ოჯახში, მაგრამ იმის გამო, რომ ა.თ.-ძემ რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. მან შეცვალა გადაწყვეტილება და ელოდება სასამართლოს განაჩენს. ბავშვების საუკეთესო და ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე საქმის ობიექტურად გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიმაჩნია სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის ჩართვა ბავშვებთან მიმართებაში.“

საბოლოოდ, დამტკიცდა მორიგების აქტი. შეთანხმდნენ, რომ 4 წლის გოგონა და ორწლინახევრის ვაჟი მამასთან პარასკევის 19 საათიდან კვირის 19 საათამდე იქნებიან. დანარჩენ დროს დედასთან გაატარებენ. მამას ექნება უფლება შვილები წაიყვანოს ზაფხულში ერთი თვით. ა. თ-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 150 ლარის ოდენობით.

მოსარჩელეს ადვოკატი რეზო გობრონიძე იყო, მოპასუხისა - გოჩა გორდელაძე.

## კენჭისყრა და შედეგები

# ოზურგეთში მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები ოპოზიციამ ძალების გაერთიანებით მოიგო

მოდით, პირველ რიგში, პატივი ვცეთ ხალხის მიერ გამოხატულ ნებას, მივულოცოთ გამარჯვება ბატონ კოტე შარაშენიძეს, შემდეგ კი პირდაპირ ვთქვათ: ოზურგეთში მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები ოპოზიციამ ძალების გაერთიანებით მოიგო და ამ მოგებაში ლომის წვლილი მიუძღვის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, რომელმაც თითქოს ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნების მეორე ტურს, მაგრამ სინამდვილეში, ოპოზიციური პარტიებიდან ყველანა-ირად, ყველაზე აქტიური იყო ამ არჩევნებში. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი, აწ უკვე მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი კონსტანტინე შარაშენიძე კი იძახდა და იძახის, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, მაგრამ ცხადია, მის ირგვლივ მთელი ოპოზიციური სპექტრი იდგა.

მეტსაც გეტყვით, ოპოზიციას ეს ერთიანობა რომ არჩევნების პირველივე ტურში გამოეჩინა, საკმაოდ შესაძლებელი იყო, ახალ საკრებულოში უმრავლესობით შესულიყო. უადგილოდ და ზედმეტად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, ოზურგეთის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე დაძაბულ ამ არჩევნებში, ვინ რა მეთოდი გამოიყენა, რადგანაც, სამწუხაროდ, საქართველოში არჩევნებს სუფთა ხელებით არავინ იგებს და ასე იქნება მანამ, სანამ ოპოზიცია და პოზიცია ერთმანეთს მტრებად მიიჩნევენ.

ჩემეული ანალიზით დიდხანს თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ რამდენიმე სოფელსა და დაბა ნასაკირალში დაფიქსირებულ შედეგებს გადაგახედებთ, ისიც ზოგადად, ვინმემ რომ ზედმეტ კირკიტში არ ჩამოგვართვას:

სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხება ძიმითში, ასე თუ ისე გასაგებია, ძიმითი კოტე შარაშენიძის დედულეთია და ცენტრალური მთავრობის ელიტა კენჭისყრის დღესაც რომ იქ ყოფილიყო, პრინციპული ძიმითელების პოლიტიკურ ნებაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

ლოგიკიდან აბსოლუტურად ამოვარდნილი დარჩა სოფელ შრომაში დაფიქსირებული შედეგი: თუ პირველ ტურში სახელისუფლებო კანდიდატმა დამოუკიდებელ კანდიდატს 366 ხმით მოუგო, მეორე ტურში, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაიმართა, დამოუკიდებელმა კანდიდატმა რევანში აიღო და 127 ხმით აჯობა თავის კონკურენტს. რა მოხდა ასეთი? ორი კვირის განმავლობაში როგორ და რატომ აქცია ზურგი შრომამ სახელისუფლებო კანდიდატს?! არავინ იფიქროს ჭურში გვძინავდეს, მაგრამ შრომიდან მოტანილ მხოლოდ ჭორებს ვერ ავყვებით. არა გვგონია, რომ ეს კითხვა დიდხანს პასუხგაუცემელი დარჩეს.

დაბა ნასაკირალი ხელისუფლებისთვის თითქმის ყველა არჩევნებში დამოკლეს მახვილია. წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნებიც არ აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე საქმეს ვერც აჭარის მთავრობის პირველი კაცის ჩამოყვანამ უშველა. ნასაკირალელთათვის უფრო გავლენიანი და მისაღები პირი აღმოჩნდა თავიანთი ღვიძლი შვილი ბესო ქათამაძე, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი უპირობო ლიდერია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ნასაკირალში 220-ით მეტმა ამომრჩეველმა დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭირა მხარი.

დვაბზუ ისტორიულად ისეთი სოფელია, რომელსაც ყველა დროში სეფე-სიტყვა ეთქმოდა არა მხოლოდ ოზურგეთში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც. სიტყვა ამჯერადაც თქვეს დვაბზუელებმა, რასაკვირველია, სოფლის შვილის სასარგებლოდ, მაგრამ შემდგომი ქმედება ვერ მოვუწონე მათ. არჩევნების დღეს აქ ავტოსაგზაო შემთხვევამ ახალგაზრდა ქალბატონი იმსხვერპლა და ამიტომ, მსუბუქად რომ ვთქვათ, უადგილო და უხერხული იყო, არჩევნებში გამარჯვების ფეიერვერკებით აღნიშვნა.

საპირწონედ, სახელისუფლებო კანდიდატის მიერ მშობლიურ კონჭკათში მოპოვებული 400-მდე ხმის უპირატესობა საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის.

მოკლედ, კენჭისყრის დინამიკას თუ მივყვებით, დავინახავთ, რომ ძირითადად, სწორედ ამ სოფლებში გადაწყდა, ვინ იქნებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ასეთი სიტუაცია შეიქმნა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ხელისუფლების უმრავლესობას კვლავ „ქართული ოცნება“ წარმოადგენს, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მოსული მერი ჩაუდგა სათავეში, რომელსაც, სურს თუ არ სურს, გარკვეული ვალი მართებს ოპოზიციური პარტიებისა. და ამ სიტუაციის დალაგება ორივე გუნდისათვის პრობლემა უნდა დარჩეს.

სავარაუდოდ, საკრებულოს პირველი სხდომა სკანდალური და ხმაურიანი იქნება. ორივე მხარე შეეცდება დეპუტატების გადაბირებას.

საინტერესოა ვინ გახდება საკრებულოს თავმჯდომარე, შოთა გოგიბერიძე, რომელმაც, როგორც მერობის კანდიდატმა, ამ არჩევნებში კოტე შარაშენიძის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა, თუ დავით დარჩია, ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელი? კულუარული ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეობისთვის ერთმანეთს ლეღა საჯაია და გიორგი ღურჯუმელიძე შეეცილებიან. სხვა სამსახურების ხელმძღვანელობისთვისაც უკომპრომისო დაპირისპირებები და პოლიტიკური კინკლაობაა მოსალოდნელი. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც მოსამზადებელი და დასამტკიცებელია მთავარი საფინანსო დოკუმენტი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, ურომლისოდაც პოლიტიკოსთა დაპირებები და ლაყაფი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

**თემურ მარშანიშვილი**

**P.S.** იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, ვინაც მიიჩნევს, რომ გაზეთი „ალიონი“ ამ არჩევნებში მხარს უჭერდა სახელისუფლებო კანდიდატს. თუ მხედველობაში გაქვთ, ფასიანი პოლიტიკური რეკლამები, გეთანხმებით, რომ ასეთი სახის მასალები გვქონდა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიიდან, ოღონდ არც ისე თავზე საყრელად, როგორც სხვა მედიასაშუალებებს. ოპოზიცია საერთოდ არ შეგვხმიანებია ამ საკითხზე. რაც შეეხება უფასო პოლიტიკურ რეკლამებს, საგაზეთო ფართი ორივეს თანაბრად დავუთმეთ, ანუ ყველანაირად დავიცავით ბალანსი. თუ ვინმეს ის არ მოეწონა, რომ რომელიმე კანდიდატი, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, არ ვლანძღეთ და ვთათხეთ, ბოდიშს ვიხდით და, რომელიმე კანდიდატი უწმაწური ეპითეტებით არ შევამკეთ, რომელიმე კანდიდატის პირადი ზეწრები საჯაროდ არ გამოვფინეთ, ნურც მომავალში დაელოდება ასეთ კორესპონდენციებს, რადგან „ალიონისა“ და მისი ერთგული მკითხველისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ეთიკა და მორალი, უპირველესად, ეთიკურად და მორალურად, ხოლო შემდეგ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სრულყოფილი ოზურგეთი და ოზურგეთელები.

**თ. მ.**

# ქართველი ერი გადაშენების პირას მყოფი ერების ხუთეულშია

დღესდღეობით დედამიწის მოსახლეობა 7 მილიარდ ადამიანს შეადგენს და საერთო ჯამში კიდევ უფრო იზრდება. გაეროს სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, დედამიწის მოსახლეობა 2050 წლისათვის 9.5 მილიარდ ადამიანს მიაღწევს. მოსახლეობის ზრდა ყველა ერს არ შეეხება და გარკვეულ ქვეყნებს გაქრობის საფრთხე ემუქრებათ.

გამოიკვეთა 5 ქვეყანა, რომელთა მოსახლეობას სამომავლოდ კლების ტენდენცია ექნება და გაქრობის გზას დაადგება. ესენია: იაპონია, უკრაინა, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი და საქართველო.

მოსახლეობის შემცირების ყველაზე მზარდი დინამიკა იაპონიაში აღინიშნება. იაპონიის მოსახლეობა დღეს 126 მილიონია, ხოლო 2050 წლისათვის, 95 მილიონამდე შემცირდება. როგორც საიტი **The Conversation** იტყობინება, XXII საუკუნის ბოლოს – 10 მილიონამდე, 3000 წლისთვის კი 62 ადამიანი დარჩება.

შემაშფოთებელი დემოგრაფიული მდგომარეობაა ასევე ბულგარეთში, სადაც დაბალ შობადობას მაღალი ემიგრაცია ემატება და ქვეყნის გენოფონდს გადაშენების საფრთხე ემუქრება.2050 წლისათვის ბულგარეთში მოსახლეობის რაოდენობის კლება 5.8 მილიონამდეა ნავარაუდები.

ბოსნია-ჰერცოგოვინაში 2050 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის 3 მილიონამდე კლებაა პროგნოზირებული.

გაეროს ბოლო პროგნოზების მიხედვით პოსტ საბჭოთა სივრცეში ყველაზე სავალალო მდგომარეობა უკრაინასა და საქართველოშია. 2050 წლისთვის უკრაინის მოსახლეობა 25%-ით შემცირდება, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 17%-ით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე თენგიზ ცეკვავამ, პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოში ჩატარებული აღწერისა და მოსახლეობის მკვეთრი კლების დინამიკის შესახებ ისაუბრა.

თენგიზ ცეკვავას განცხადებით, 2017 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით გაირკვა, რომ საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობამ შობადობას გადააჭარბა.

„2017 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით ჩვენ დავინახეთ, რომ შობადობა, ბოლო წლებთან შედარებით, პირველად ჩამორჩა გარდაცვალებას, ანუ გარდაცვლილთა რაოდენობამ გადააჭარბა შობადობას. ეს პროცესი არის სწორედ იმის გამოძახილი, რომ 90-იან წლებში შობადობამ იკლო და ის მოსახლეობა, ის ახალგაზრდები, რომლებიც ახლა ფერტილურ ასაკში შედიან და განსაკუთრებით ქალები, მათი რიცხვი ფაქტობრივად განახევრდა. თუ 80-იან წლებში დაიბადა დაახლოებით 450 ათასი ქალი საქართველოში, 90-იან წლებში დაბადებულ ქალთა რაოდენობა 230 ათასი იყო, ანუ განახევრდა და სწორედ ის ქალები, რომლებიც დღეს შედიან ფერტილურ ასაკში, სწორედ მათ მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა დაიწყებს კლებას“, – განაცხადა თენგიზ ცეკვავამ.

მისივე განმარტებით, 1990-იან წლებში ჩატარებულ აღწერასთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა 1.8 მილიონით შემცირდა.

„2014 წლის აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს, რაც 2002 წლის აღწერასთან შედარებით, მნიშვნელოვანი კლებაა, რადგან მაშინ 4.3 მილიონი დაფიქსირდა. კიდევ უფრო დიდი კლებაა 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერასთან შედარებით, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ 5.5 მილიონი შეადგინა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არის საბჭოთა კავშირის რღვევა, ასევე, ჩვენს ორ რეგიონში აფხაზეთისა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესები და ის დიდი მიგრაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში. შესაბამისად, ჩვენი შობადობის დონე უახლოეს წლებში შემცირდება სწორედ იმის გამო, რომ 90-იან წლებში გვქონდა დიდი ჩავარდნა.“, – აღნიშნა თენგიზ ცეკვავამ.

# ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია - გურიაში

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.. „დვოკატობის კამპანიის" ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ და „ფონდი ნატახტარის“ წარმომადგენლები დაინტერესებულ მხარეებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ორგანიზატორებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს ერთობლივად მომზადებული პროგრამა წარუდგინეს. პრეზენტაციასთან ერთად მოეწყო ახალი პროგრამისა და მზრუნველობამოკლებული მოზარდების, ახალგაზრდების მხარდაჭერის კუთხით რეგიონში არსებული ვითარების განხილვა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა არსებულ სიტუაციებზე, გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. ასევე, მზადყოფნა გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობისთვის.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის ადმინისტრაცია, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. პროგრამა რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისგან შედგება, რომელიც მუნიციპალიტეტებისთვის მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბენეფიციართა დამხმარე ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაციები და განხილვები, 10 სხვადასხვა რეგიონულ ცენტრში, 9 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით გაიმართა.

# „ოზურგეთის თეატრი საქართველოში ერთ-ერთი უპირველესია“

**ვასო ჩიგოგიძე: - „მოდით, გვნახეთ ბატონებო, მართალია გურიანთაში ვართ, მაგრამ იგი არც ისე შორსაა. ჩვენც ჩავალთ გურიის ყველა სოფელში. მოდით, გვაკრიტიკეთ, გვირჩიეთ, მოგვიწონეთ სხვანაირად წარმოუდგენელია თქვენმა 150 წლოვანმა თეატრმა გამართულად იცხოვროს და იფუნქციონიროს.“**

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილთან და თეატყრმცოდნეებთან ერთად

ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე მიმდინარე წლის სექტემბრიდან თავისი მოვალეობის შესრულებას მეორე საარჩევნო პერიოდის ოთხი წლის ვადით შეუდგა. არჩევანი ვასილ ჩიგოგიძის კანდიდატურაზე საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულმა სარეკომენდაციო საბჭომ შეაჩერა. რეკომენდაცია მინისტრმაც გაითვალისწინა და ოზურგეთის თეატრი სამართავად კვლავ ვასილ ჩიგოგიძეს ანდეს. მაინც, რით დაიმსახურა მან მეორე ვადით არჩევა?

განვლილი ოთხი წლის მუშაობის შესაჯამებლად ბატონმა ვასომ დაგეგმა რამდენიმედღიანი გასტროლი დედაქალაქში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, საგასტროლო რეპერტუარში იყო ქართული მწერლობის და დრამატურგიის მიხედვით განხორციელებული ხუთი სპექტაკლი, რომელსაც უნდა შეექმნა სურათი თეატრის მუშაობის შესახებ.

**ვასო ჩიგოგიძე:** „ - დღეს შემიძლია სიამაყით განვაცხადო, რომ განვლილი ოთხი წელიწადი იყო შემოქმედებითად საინტერესო, მსოფლიო, ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე დრამატურგთა პიესებზე შექმნილი სპექტაკლებით. დღეისათვის რეპერტუარში გვაქვს ოცდახუთამდე სპექტაკლი, რომელიც ორი-სამი დღის რეპეტიციით შეგვიძლია გავაცოცხლოთ. დაახლოებით ორ წელიწადში გვექნება უნიკალური სათეატრო შენობა, რამდენიმე სცენით, საუკეთესო ტექნიკითა და აღჭურვილობით. ამისათვის დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ფონდ „ქართუს“. ეს არამარტო თეატრის, გურის, საქართველოს დიდი საჩუქარია. ჩვენ უკვე ვემზადებით ამ განახლებული შენობის ხუთივე სცენაზე ერთდროულად გავმართოთ სპექტაკლები. ორ წელიწადში, თეატრის განახლებულ შენობაში გადასვლისთანავე, გვექნება აფიშები დღეში ოთხი ან ხუთი სპექტაკლით. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს:

გასტროლი დავიწყეთ ახალციხეში ეროვნული დრამატურგიის ფესტივალზე მონაწილეობით, სადაც წარვადგინეთ ლაშა თაბუკაშვილის პიესის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ ჩემეული ვარიანტი. ეს სპექტაკლი ოთხი ათეული წლის წინ იყო ჰიტი, დრამატურთან ერთად მეც ვმონაწილეობდი მის შექმნაში და უნდა დამედგა კიდეც. მაშინ ჩვენ 23 წლის ჭაბუკები ვიყავით... თუმცა, რეალურად, ერთ დროს გახმაურებული სპექტაკლი გავაცოცხლე ჩვენს მცირე სცენაზე და ბედნიერი ვარ, რომ ახალმა თაობამ, მაყურებელმა სხვადასხვა რეგიონში იგი მიიღო. სპექტაკლმა თბილისში, მოზარდ მაყურებლთა თეატრის დიდი სცენაც მოირგო. მოლოდინს გადააჭარბა, გადავსებული დარბაზის ოვაციამ. აღფრთოვანებული იყო დრამატურგი, ბატონი ლაშა თაბუკაშვილი.

თბილისში ჩვენი პირველი სპექტაკლი გახლდათ „ბოშები“ ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით, რომლის სცენური ვერსია და რეჟისურა მაესტრო გიზო ჟორდანიას ეკუთვნის. მან უზარმაზარი როლი ითამაშა ოზურგეთის თეატრის ცხოვრებაში, მისი მასტერკლასები, საოცარი შემოქმედებითი სითბო და სიყვარული, რომელსაც თეატრის თანამშრომლებს უხვად უნაწილებდა, არის დაუვიწყარი. სამწუხაროდ „ბოშები“ მისი უკანასკნელი ნამუშევარი აღმოჩნდა. ეს იყო შემოქმედებითად მაესტროს პირველი შეხება თავის გურიასთან, ადგილის დედასთან, რომელიც უზომოდ უყვარდა. არის კრიტიკული მოსაზრებები სპექტაკლში გალაკტიონის პოეზიის ჩართვის გამო. მე კი მგონია, რომ ეს იყო ოდა, ჰიმნი, ბალადა გურიისადმი და ეს წარმოუდგენელი იყო გალაკტიონის, მალერის უკვდავი სიმფონიის გარეშე. ეს იყო მისი დამოკიდებულება, მისი სიყვარული და აღფრთოვანება გურიით.

„ბოშებში“ სცენაზე ერთდროულად დგას უფროსი და შუა თაობა, ახალგაზრდობა... ჩვენი თეატრის ოთხი თაობა. მეოთხე თაობა გახლავთ ჩვენი სტუდიელები, მოსწავლეები, 37 მსახიობი. სცენაზე დგას ბატონი გაბო მდინარაძე, გურიის ერთადერთი სახალხო არტისტი. მას გაისად, თეატრის საერთაშორისო დღეს 90 წელი უსრულდება. მაყურებლით სავსე დარბაზი არ ელოდა თუ ამდენი საინტერსო მსახიობი გვეყოლებოდა. თბილისში იცნობდნენ უფროს თაობას, შუა თაობას მეტნაკლებად და სულ არ იცნობდნენ ახალგაზრდობას.

საგასტროლო რეპერტუარში იყო ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით შექმნილი "ნეტავი დამბადებელო" ბელა კიკვაძის მონოსპექტაკლი, ჩემი რეჟისურით, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. ვაჟა ფშაველას სამყაროს ასეთი გადმოცემისთვის სპექტაკლს საუკეთესო შეფასება მისცა პოეტმა დავით შემოქმედელმა; ახალგაზრდა რეჟისორის მამუკა ბაბილოძის მიერ დადგმული პოლიკარპე კაკაბაძის პიესა "სამი ასული", დებიუტანტი რეჟისორის საყურადღებო ნამუშევარია. საგასტროლო წარმოდგენებში იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორის ზურა პაპიაშვილის პიესის მიხედვით ასევე ახალგაზრდა რეჟისორის ირაკლი გურგენიძის "თეფში", რომლის პრემიერა სწორედ თბილისში შედეგა. პრემიერის გარშემო მაშინვე გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა.

თავად დოდო ალექსიძის, გიზო ჟორდანიას სკოლის წარმომადგენელი ვარ, თეატრი ძალიან რთული ორგანიზმია, მას თავის დროზე ნაპოლეონმა ვერ მოუხერხა ვერაფერი, და ამ თეატრში წმინდანებად დარჩნენ ეს ადამიანები.

შეიძლება „თეფში“ არ იყოს ჩემი თეატრი ანუ რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის თეატრი. სრულიად გასხვავებულია სკოლა, თაობა. მაგრამ საინტერესო ექსპერიმენტი იყო. თეატრი არის ყველა თაობის, მიმდინარეობის, სკოლის. არსებობს თეატრი ზეიმი, ფიქრი, განცდა, გარდასახვის ამ ნაირსახეობაში ძალიან კარგად ჯდება ასეთი თეატრიც, რომელიც შეიძლება არ იყოს ფართო მასებზე გათვლილი, მაგრამ ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ თანამედროვე თეატრის პულსს და არ ჩამოვრჩეთ მის მაჯისცემას. ეს არის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ღირსება და მოვალეობა. არ გვაქვს უფლება ვიყოთ პროვინციული, კარი უნდა გავუხსნათ ყველა სკოლას, მიმდინარეობას და შესაბამისად შექმნათ ჩვენთვის მისაღები, საინტერესო, თუნდაც განსხვავებული თეატრის რეპერტუარი.

„თეფში„ ვაჩვენეთ გადაჭედილ დარბაზში, იყო ოვაცია და იყო კრიტიკა. ერთმა კატეგორიამ ადამიანებისა, ჩვენი პრემიერა მიიღო ძალიან კარგად, მეორემ - საერთოდ ვერ მიიღო. სწორედ ეს არის თეატრი, აზრთა სხვაობა, შეხედულებების ჭიდილი კარგი გაგებით.

კრიტიკასაც და მაყურებლის ოვაციასაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ჩვენს ცხოვრებაში, ამის გარეშე ვერც ვიარსებებთ და ვერც გავიზრდებით.

მინდა მივმართო მაყურებელს, ჩემს გურიას: მოდით, გვნახეთ ბატონებო, მართალია გურიანთაში ვართ, მაგრამ იგი არც ისე შორსაა. ჩვენც ჩავალთ გურიის ყველა სოფელში. მოდით, გვაკრიტიკეთ, გვირჩიეთ, მოგვიწონეთ სხვანაირად წარმოუდგენელია თქვენმა 150 წლოვანმა თეატრმა გამართულად იცხოვროს და იფუნქციონიროს.

თხოვნაც არის და მოწოდებაც: მოდით და გვნახეთ. გვაქვს გამართული ქართული რეპერტუარი, მსოფლიო კლასიკა, თანამედროვეობა, ნიჭიერი, ახალგაზრდა, დამწყები პაპიაშვილი, ნიჭიერი, დებიუტანტი რეჟისორები, ღირსეული რეპერტუარი გვაქვს და რაც მთავარია ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ თქვენი თეატრი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი უპირველესი და უძლიერესი თეატრია დღეს საქართველოს მასშტაბით. ჩვენმა თბილისურმა გასტროლმა ჩვენი ხედვების სისწორე დაამტკიცა. თეატრალები და კრიტიკოსები აღფრთოვანდნენ ჩვენი დასით. წელიწადში 8-10-12 პრემიერაც კი გაგვიშვია ერთ სეზონზე. არავის ვეჯიბრებით, შემოქმედებითი კონკურენცია ყველასთან გვაქვს სხვადასხვა საბაზისო საწყისებით და ძალიან მწირი ბიუჯეტით. მადლობა ჩვენს მსახიობებს, ტექნიკურ პერსონალს, რომელიც ბატონ ზაზა ჯინჭარაძესთან და ჩემთან ერთად ექსტრემალურ ვითარებაში დილის 3 საათამდე მუშაობდა, სამ დღეში შვიდი სპექტაკლის დეკორაცია მომზადდა ორ სცენაზე. მადლობა შემოქმედებით პერსონალს.

დიდი მადლობა ტვ პირველს, რადიო 1-ს,საზოგადოებრივ მაუწყებელს, რუსთავი ორს, მათ ძალიან კარგადაც შეგვაფასეს და რეკლამაც გაგვიკეთეს. მადლობა რეგიონების მედიას, აჭარის ტელევიზიას საუკეთესო გადაცემებით მხარდაჭერისათვის

ახლა დიდი მოლოდინით ველოდები ჩვენს თეატრში ბეკეტის შემოსვლას. სამუელ ბეკეტის პიესას დგამს მამუკა ბაბილოძე საინტერესო ფორმით. ჩვენი პრემირა გავა სამხატვრო გალერეაში, ეს არის ერთობლივი, უცნაური პროექტი. თვის ბოლოსათვის გეპატიჟებით სამხატვრო გალერიაში, ულამაზეს გარემოში პრემიერაზე. ვახტანგ ჩხარტიშვილი, ჩვენი მსახიობი როგორც რეჟისორი და მე როგორც დადგმელი რეჟისორი ვმუშაობთ თამარ ბართაიას „სათამაშო პისტოლეტზე“, პრემიერა თვის ბოლოს გურიანთაში შედგება. ბატონი ოთარ კუტალაძე მუშაობს თანამედროვე საუკეთესო დრამატურგის ირაკლი სამსონაძის პიესაზე „კლინიკური ქორწინება“, წლის ბოლოსათვის ძალიან საინტერესო პროდუქტს მივიღებთ. მომავალი პრემიერები და „თეფში“ ფაქტობრივად ამ ოთხი სპექტაკლის პარალელურ რეჟიმში გაშვება შეგვიძლია სხვადასხვა სივრცეში. ჩვენ გვაქვს ძალა დღეში ხუთი სპექტაკლი ვითამაშოთ.

წინ გვაქვს ნოდარ დუმბაძის 90 წლის, თეატრის 150 წლის, გაბრიელ მდინარაძის 90 წლის იუბილეები. ამასობაში ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრის მშენებლობაც დასრულდება და ქალაქშიც გაჩნდება სათეატრო დარბაზი, ჩავალთ ყველა სოფელში, რომელიც გამოთქვამს სურვილს ოზურგეთის თეატრს უმასპინძლოს და ბოლოს ჩვენი შენობის რეალიტაციის დასრულებაც უნდა ვიზეიმოთ.

ეს ყველაფერი მაყურებელთან, თეატრალებთან ერთად გვიხარია. გელოდებით და ვემზადებით შეხვედრისათვის.

**ლია კილაძე,**
თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

** პოეზია**

# შენ ღმერთის საჩუქარი ხარ

**ქართველი ერის გადამრჩენ ბატონ ბიძინა ივანიშვილს**

*შენ ღმერთის საჩუქარი ხარ,*
*საჩუქარი ხარ ივივე ჩვენთვის.*
*რასაც აკეთებ და გააკეთე,*
*შეუძლებელი შეძელი, გეთქმის.*

*კაცი ხარ დიდი, სიტყვის და საქმის,*
*ჭეშმარიტების გამომსახველი,*
*რასაც გადაწყვეტ, თან შეასრულებ,*
*სრული სიმართლის გამომხატველი.*

*ნდობით აღჭურვილს და საიმედოს*
*ხალხთ სიყვარულით გული გაქვს სავსე.*
*შენს ის წყარო ხარ, ერს რომ არწყულებ,*
*წყარო, რომელიც არ უნდა დაშრეს.*

*უფალმა მოგცა ესოდენ ნიჭი,*
*გიყვარდეს ხალხი, უკეთო მადლი.*

*შენ არ დაგრჩება ზრუნვის გარეშე*
*ქართული მიწის არც ერთი ადლი.*

*გლოცავ, გისურვებ ხანგრძლივ*
*სიცოცხლეს,*
*ულევ სიხარულს, სწორ გზაზე მავალს.*
*უყვარხარ შენს ერს, მთელ*
*საქართველოს,*
*არ დაგივიწყებთ არასდროს ამაგს.*

**გიზო გორგილაძე,**
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა ასოცირებული
დოქტორი.
ოზურგეთის რაიონი, სოფელი
ლიხაური.
22 ოქტომბერი 2017 წელი.

# „სამყარო და სიცოცხლის წარმოშობა და ადამიანის სამყაროში დანიშნულების შესახებ“

## წერილი პირველი

პატივცემულო მკითხველო! ბოდიშს გიხდით, რომ ავადმყოფობის გამო თქვენთან შეხვედრის დიდი ინტერვალი გამომივიდა. მაგრამ ამჯერად 8-9 თვე ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით მეტად საინტერესო საკითხებით. გამიხარდება და ჩემთვის სტიმულის მომცემი იქნება თუ რედაქტორი მეტყვის, გაზეთის ტირაჟი გაიზარდაო. ისე, რომ ვთქვათ, „ალიონი“ ოზურგეთელთა სახალხო გაზეთია და ის ყოველთვის მე-3-4 ოჯახში მაინც უნდა მიდიოდეს.

მაშ ასე ვიწყებთ თხრობას აკადემიკოს ლერისონის შესანიშნავი წიგნისა „სამყარო და სიცოცხლის წარმოშობა და ადამიანის სამყაროში დანიშნულების შესახებ“

ბატონი ლერისონი თეოსოფიის მიმდევარია. თეოსოფია, როგორც ცნობილია, თეოსოფია ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება. თეოს - ნიშნავს ღმერთს, სოფია - სიბრძნეს, ცოდნას. ზოგიერთი მკვლევარი ამ სიტყვას პირდაპირ, როგორც ღვთის შემეცნებას“, ისე თარგმნის.

თეოსოფია თვლის, შესაძლებელია შეიცნოს ღვთაებრივი სიბრძნე „მეცნიერული“ მეთოდებით. მისაწვდომი გახადოს იგი პიროვნებათათვის და საბოლოო ჯამში უზრუნველყოს ადამიანის იმედი – „სამოთხის ნეტარება სიკვდილის შემდეგ“. ამის მიღწევა, მათი აზრით, შესაძლებელია ადამიანის ფარული ძალების გამომჟღავნებით.

თითოეული ადამიანი დაკავებულია ფიზიკური არსებობისათვის საჭირო საქმიანობით, სულს კი ვცდილობთ, ნაკლებად შევეხოთ.

იმისათვის, რომ სამყაროში მიმდინარე უხილავ მოვლენებს ნათელი მოეფინოს, სულის გაცნობიერების გარდა, საჭირო პასუხი უნდა გაეცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

– რას წარმოადგენს ის პირველადი ელემენტები, რომელიც არის ერთიან სამყაროში არსებული ყველა სიხარულის, ისე ყველა უხილავი საგნის წარმოშობის საფუძველი?

– ვითარდება თუ არა სამყარო და რას ნიშნავს სამყაროს განვითარება?

– რა დანიშნულება აქვს თითოეულ ვარსკვლავს, თუნდაც ჩვენი მზის სისტემის სამყაროში?

– ადამიანი მართვადია თუ უმართავი?

– ბედისწერა რეალობაა თუ თავშესაქცევად მოგონილი რამაა?

– ადამიანის ცხოვრება მთლიანად ბედისწერაზეა დამყარებული, თუ მას გარკვეული თავისუფალი ნება გააჩნია?

– რა არის აზროვნება? როგორია აზროვნების პროცესი? როგორ ხდება აზროვნების განვითარება? როგორ ხდება ახალი აზროვნების წარმოშობა?

– რამდენგვარია შეგნება და როგორ ყალიბდება თითოეული მათგანი ადამიანში?

– როგორია ტვინის ფუნქციები?

– რა არის ჰიპნოზი?

– რა არის მუზა, როგორია მისი წარმოშობის სათავე?

– რა არის ნათელხილვა და როგორია მის მიერ მომავლის აღქმის პრინციპი?

– როგორ ყალიბდება კეთილი და როგორ ყალიბდება ბოროტი?

– რა აუცილებლობას წარმოადგენს სამყაროში კეთილისა და ბოროტის ერთად არსებობა?

ჭეშმარიტებასთან მისვლა და მისი გაცნობიერება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ხსენებული საკითხები ისე იქნება ახსნილი, რომ ისინი ერთიმეორიდან ამოდიოდეს, იგრძნობოდეს მჭიდრო კონტაქტები თითოეული მათგანისა ყველა დანარჩენთან.

თითოეულის ჭეშმარიტებას ყველა დანარჩენი ადასტურებდეს და ბოლოს: არ არსებობდეს არანაირი გონივრული წინააღმდეგობა მათ შორის.

თითოეულის ახსნა გამაგრებული უნდა იყოს ცხოვრებისეული, პრაქტიკული მაგალითებით, ასევე კაცობრიობის მიერ მოპოვებული სამარადჟამოდ გაუხუნარი მოსაზრებებით, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებენ ჭეშმარიტებაზე.

სამყაროს განვითარების სამი ძირიტადი კანონია:

1. სამართლიანობის კანონი;
2. უკუგების, ანუ ბედისწერის კანონი;
3. რეინკარნაციის კანონი

**(გაგრძელება იქნება)**

**გურამ ცერცვაძე,**
ეკონომიკის მეცნიერებაღა
აკადემიური დოქტორი

# სკანვორდი






## № 45-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვასტანგ მამეშვილი; გოეთეს ქალაქი - ვაიმარი; შიშველი — ტიტლიკანა; სოლო ოპერაში — არია; სახელმწიფო აფრიკაში — განა; დიდი ნამცხვარი — ტორტი; კარგი ამინდი — დარი; ძიუდოს ხალიჩა — ტატამი; განთიადი — აისი; მწვერვალი — პიკი; ნაკია — ერი; მესამე პირის ნაცვალსახელი — იგი; ფრანგი წინასწარმეტყველი — ნოსტრადამუსი; დიდი ხანჯალი — სატევარი; მოსკოვის სპარტაკის ყოფილი ფეხბურთელი — რეინგოლდი; ძვირფასბეწვიანი მკერარე — ურთხმელი; ერთგვარი დარტყმა კრივში — აპერკოტი; არტახებიანი საწოლი — აკვანი; გიგანტური ყინული — აისბერგი; ევას მეუღლე — ადამ; ქათმების წინამძღოლი — მამალი; ღვარძლი — შური; სადურგლო იარაღი — ერო; ქალის სახელი — ნაილი; ნიადაგის ზედა, ნაყოფიერი ფენა — ჰუმუსი; ოზურგეთის მაჟორიტარი — თალაკვაძე; განსახლების მინისტრი — სუბარი; სპორტო ქალაქი ბულგარეთში — ვარნა; ნედლის ანტიპოდი — ხმელი; კრედიტორი — მოვალე; თუთიყუში — რა; ნათება ჭექა-ქუხილში — ელვა; ჯუჯა ცხენი — გერგე; დინამოს ყოფილი ბერძენი ფეხბურთელი — ილიადი; პირველი ათინაზა რიცხვი — მილიარდი; ქართული გაზეთი — ალია.

# „სიმღერის დაბადება „ოთხი ნანა“ -„სამი ძმანი გურულები“

სიმღერა „ოთხი ნანა“,გურიაში შეიქმნა. იგი ფამფალეთელ ძმებს სალუქვაძეებს ეკუთვნის და მათ ერთ თავგადასავალს აღწერს ერთ-ერთი ძმის მანასეს ქალიშვილმა 82 წლის თინა სალუქვაძემ მიამბო: „ფამფალეთში ცხოვრობდა ოთხი ძმა: ამბროსი, ლადიკო, მანასე და ავქსენტი. მათი მამა ბესარიონი ადრე გარდაიცვალა. ოთხი მცირეწლოვანი შვილი დედამ თლიმონ ინწკირველმა გაჭირვებაში გაზარდა.

ძმებს კარმიდამო მამის სამკვიდრო მიწაზე ერთი მეორის გვერდიგვერდ ჰქონდათ.ვინაიდან სოფელში ძირითად წითელმიწა ნიადაგი სჭარბობდა ამიტომ ისე როგორც სხვებს, ძმებსაც, სიმინდის საყანე მიწები- ლეკიანში ჰქონდათ,სადაც მდინარე ნატანები ერთვის ზღვას.ყანის სიახლოვეს ედგათ ნალიები,სადაც სიმინდს აშრობდნენ და ინახავდნენ.

ერთხელ სოფელ ფამფალეთში ამბავი მოვიდა, რომ შემოდგომის ძლიერ წვიმებსა და ქარს ლეკიანში სიმინდის ნალიები დაუზიანებიათ. ძმებმა: ლადიკომ, ავქსენტამ და მანასემ (ამ დროს უფროსი ძმა ამბროსი ბათუმის პორტში მტვირთავად მუშაობდა) ურემში შეაბეს ხარები -„კამუშა“ და „ალმასა“ და გაუდგნენ ლეკიანისკენ გზას .უკან შინისაკენ მომავლებმა გზად მდინარე ნატანების პირას ხარები დასასვენებლად შეაჩერეს აქ დუქნებთან ნაცნობები გადაეყანენ და სუფრასთან მიიპაჟეს.....ხარებმა პატრონის დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მთა გარეშე შინისაკენ გასწიეს, მაგრამ მდინარეში ფონს ვერ მიაგნეს ,მდინარემ სიმინდით დატვირთული ხარები ურმიანად ზღვისაკენ წაიღო. მასპინძლებისაგან ღიღინით გამოსული შექეიფიანებულ ძმებს ხარები აღარ დახვდათ.წლის სარჩოსაბადებელის დაკარგვამ ძმები უმალ გამოაფხიზლა, მაგრამ რაღას გახდებოდნენ, დაღონებულები უხალისოდ დაადგნენ შინისაკენ მიმავალ გზას.სწორედ მაშინ შექმნილა შემდეგში საქართველოში განთქმული სიმღერა“ოთხი ნანა“.ეს სიმღერა მთელს გურიას მოედო.როცა ძმებს ეკითხებოდნენ რამ გამოგათქმევინა იმ დროს ეს სიმღერაო?- ისინი პასუხობდნენ-ჯერ კრიჭაშეკრულები მოუყვებოდით შინისაკენ მიმავალ გზას და თან ვფიქრობდით დედისათვის რა გვეთქვა,მერე ერთმანეთს ყბა მოუქციეთ და ასე შეიქმნა ეს სიმღერაო. ამისშემდეგ გურიაში ვინმეს საქილიკო, რამ თუ შეემთხვევოდა ლადიკოს და მანასეს მიაწერდნენ, თუ ვინმე რამე მოსწრებულს იტყოდა ისევ ლადიკოს და მანასეს.ამ სიმღერის ტექსტებში არსად ჩანს უფროსი ძმის ამბროსის სახელი, მაგრამ ისიც კარგად მღეროდა და ძმებსაც მან შეაყვარა სიმღერაო.

## ხალხური სიმღერა ,ნიჭარაში „მთვლემარე მარგალიტია“

**ვლადიმერ ერქომაიშვილი**

სიმღერა“ოთხი ნანა“ პირველად კომპოზიტორ ზაქარია მშველიძეს 1931 წელს ,გურიაში ექსპედიციის დროს სოფელ ბახვში ჩაუწერია, საინტერესოა, რომ სიმღერა ყველაზე ადრეული სახით შემორჩა სალუქვაძეების ოჯახს, რომელიც ემთხვევა შალვა მშველიძის ჩანაწერილი სიმღერის ტექსტს:

**„უთხრათ ერთი ოთხი ნანა**
**გურულების ოთხი ნანა**
**გურულების ოთხი ნანა, ლეკიანის**
**სამი ნანა**
**ლეკიანში მუშაობდნენ სამი ძმები**
**ყანასაო**
**ლადიკია სალუქვაძეაქვსენტა და**
**მანასა**
**მუშაობა კარგი ჰქონდათ**
**დასძახოდნენ ნანასა**
**ულლად ხარები დათესე კამუშა და**
**ალმასა**
**როცა სახლში წამოვიდნენ**
**იცინოდნენ ამასა**
**დედამისმა მიაძახა რა უყავით ამასა**
**ერთი ორი გადავხედეთ ,რაღა**
**უთხრათ ნენასა**
**ჩემი ნენა დაგვეთხუენულარ**
**გვკითხავ ამასა**
**შემოდგომაზე მოგივა კამუშა და**
**ალმასა.**

ტექსტი ამოღებულია სალუქვაძეების პირადი არქივიდან და დათარიღებულია 1925 წლით.

როგორც გადმოქცემენ ეს ლექსი უშუალოდ ზემოთ აღწერილი ამბის შემდეგ ნაჩქარევად შეითხზა. გზაში შეექმნა სიმღერაც, სადაც ყურადრება უფრო მელოდიაზე იყო გამახვილებული.შემდეგში ლექსმა ცვლილებები განიცადა. სხვადასხვა „კორექტორის“ ხელში,რამაც ფაქტობრივი შეცდომები გამოიწვია.იმ ვარიანტმა,რომელიც დაიბეჭდა 1945 წელს ადგილობრივ გაზეთში ვ. მექვაბიშვილის დაბეჭდილი სტროფი „ეს ნამუსი შეგვინახე ნუღარ ეტყვი მამასა“,რაც ფაქტიურად შეცდომაა, ვინაიდან, ძმებს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰყავდათ მამა გარდაცვლილი .არსებობს გიზო ჭელიძის ვარიანტი „კამუშა და ალმასაო მივაბარეთ ღრმა წყალსაო, სანუგეშოდ შემოვძახოდ „ოდელია ნანასაო“(გიზო ჭელიძე“ მასპინძელსა მხიარულსა“ ყბის საქცევი).

შემორჩენილია მეორე ვარიანტი:

**„ლეკიანში მუშაობდნენ სამი ძმა**
**ყანასაო**
**მე ლადიკო სალუქვაძეავქსენტა და**
**მანასაო**
**მუშაობას კარგი გვქონდა, დავძახოდით**
**ნანასა**
**ულლად ხარები დავკარგეტ კამუშა და**
**ალმასაო**
**როცა სახლში წამოვედით,ვიცინოდით**
**ამასაო**
**დედაჩემმა მოგვაძახა რა უყავით ამასა**
**ჩვენი დედა დაგვეთხუე ნუღარ**
**გვკითხავ ამბავსაო**
**ეს ნამუსი შეგვინახე ნუღარ ეტყვი**
**მამასაო**
**სულ მალე დაგვიბრუნდება თქმა არ**
**უნდა ამასაო.**

ცნობილია,რომ ძმები სალუქვაძეები მონაწილეობდნენ გურია-აჭარის სახალხო ლაშქარში, თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ. მდინარე ჩოლოქთან ბრძოლაში მანასე ფერდში დაჭრილა.

ძმები უამრავი მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების მონაწილენი და გამარჯვებული ყოფილან. გადაღებული არიან სიკო დოლიძის ფილმ „დარიკოში“ ეპიზოდურ როლებსა თუ მასობრივ სცენებში,სადაც სიმღერა „ოთხი ნანა“ს მელოდიაც ისმის.სიმღერა „ოთხი ნანა“ შესულია“ასი ქართული სიმღერაში“.დღეს ამ სიმღერას საქართველოში მრავალი ფოლკლორული ანსამბლი ასრულებს.

მათი შთამომავლების შესახებ: მანასეს ვაჟი თენგიზი 1944 წელს სამამულო ომში დაიღუპა აქვსენტის ვაჟი ვახტანგი 1964წელს 18 წლის ასაკში გარდაიცვალა.სამწუხაროდ სალუქვაძეების გვარის ამ შტოს გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩამალხაზ უთურაშვილი მანასე სალუქვაძის შვილიშვილია,რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სიმღერის „სამი ძმანი გურულები“ს შენახვასა პოპულარიზაციაში.

**მანანა ლომაძე**
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.


## განცხადებები

**იყიდება სათბურის 72 კვ. მ ფართის მეტალის მილებისაგან დამზადებული კარკასი. ფასი შეთანხმებით ტელ. 593 38 29 00**

* * *

**იყიდება ოზურგეთში, რუსთაველის 38-ში მდებარე სარემონტო წაბლის სახლი. ხეხილიანი ეზოთი, მიწის ფართობი 621 კვ. მ. ფასი შეთანხმებით. მედეა. ტელ: 595 18 79 57.**


**სპორტი**

# ღია ტურნირი კარატეში

12 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა ღია ტურნირი კარატეში. რომელშიც მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით 400-ზე სპორტსმენი მონაწილეობდა.

აღნიშნულ ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენებმა, რომლებმაც 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

12-13 წლიანებში ტურნირის გამარჯვებული გახდა **ლაშა კოსტავა,** 14-15- წლიანებში - **ნიკოლოზ დარჩია.**

10-11 წლიანებში ვერცხლის მედლებს **საბა ჭელიძე** ორ სხვადასხვა კატეგორიაში დაეუფლა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: 8-9-წლიანებში - **თორნიკე პოღოიანი,** 14-15- წლიანებში - **გიორგი მამინაშვილი** და 14-15 წლიანებში - **ნიკოლოზ დარჩია**.

აღსანიშნავია, რომ **გიორგი მამინაშვილმა** და **ნიკოლოზ დარჩიამ** ამ ტურნირზე მიღწეული შედეგით შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, რომლის მოგების შემთხვევაში, ქ. სოჭში 2018 წლის ნოემბერში გასამართ ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებენ.

# ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

3-5 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2003-05 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის მოჭიდავეები. 75კგ წონით კატეგორიაში **საბა სალუქვაძემ** მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 48კგ წონით კატეგორიაში **ზაზა ხუციშვილმა** მესამე ადგილი მოიპოვა. მწვრთნელი - **დავით მაჭარაშვილი.**


## სამგლოვიარო განცხადება



ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის **გია სიამაშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

მეუღლე ზვიადი: შვილები ლანა, ეთო, დედმამიშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დალი (ინეზა) ცქვიტიშვილი-დათუნაშვილი.**
დაიკრძალა 16 ნოემბერს, სოფ. დვაბზუში.



## უფასო განცხადება ტალონი

*90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!*

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გეკუთვნით მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

# ლიხაურელი მერცხლები თბილ ქვეყანაში გადაფრენას არ საჭიროებენ

თემურ მარშანიშვილი

გინახავთ სადმე, ჩვენს მხარეში, ან თუნდაც სხვაგან, გვიან შემოდგომაზე მერცხალი და მოგისმენიათ მისი ჭიკჭიკი? მეც არ მინახავს, მაგრამ 10 ნოემბერს ვნახე, თან ერთი კი არა, ოცდაოთხი ერთად, ერთიმეორეზე უკეთ რომ ჭიკჭიკებდნენ. აი, ისინიც: **იოსებ გიორგაძე, ელენე გობრონიძე, გიორგი დობორჯგინიძე, ნოდიკო ვადაჭკორია, მელქისედეგ ვაშალომიძე, ანასტასია ვაშაყმაძე, სოფიო ვასაძე, ანასტასია კიკაბიძე, გენადი კუტუბიძე, ნიკოლოზ სალუქვაძე, ქრისტინა სალუქვაძე, დიმა სალუქვაძე, ნია სალუქვაძე, ელისაბედ სალუქვაძე, ილია სალუქვაძე, გიორგი სიჭინავა, ანასტასია ქურიძე, დაჩი ქილიფთარი, სალომე ყურუა, ავთანდილ ცხვარაძე, ლუკა ცერცვაძე, ნიკოლოზ ჭელიძე, გიგა ჟორდანია, ბარბარე ჯავანიძე.**

საქმე ისაა, რომ რჩეულ და რჩეულთა სოფელ ლიხაურში, ამ სოფლის საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფმა „მერცხალი“ ჩაატარა საშემოდგომო პრეზენტაცია სახელწოდებით „შემოდგომა ჩემს სოფელში“.

ბაღის მენეჯერ **ნათია გობრონიძის,** აღმზრდელ **თინათინ გაფრინდაშვილის,** აღმზრდელ **მაია ვაშაყმაძის**, მუსიკის მასწავლებელ **ქეთევან სალუქვაძის**, აღმზრდელის თანაშემწე **ინდირა ვასაძის** დაფრთიანებულმა „მერცხლებმა“ მართლაც დაუვიწყარი სანახაობა აჩვენეს დამსწრე საზოგადოებას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სპეციალისტებს, გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობას, სხვა სოფლების საბავშვო ბაღების წარმომადგენლებს, სოფლის ახალ თავკაცებს, მშობლებს, გულშემატკივრებს. საოცარი ვოკალით, სმენითა და ტაქტით დაჯილდოებულმა ბავშვებმა სიმღერებით, ლექსებით და ცეკვებით გააცილეს ბარაქიანი შემოდგომა.

როგორ „ალიონთან“ საუბარში ბაღის მენეჯერმა ნათია გობრონიძემ თქვა, საზეიმო ღონისძიების მომზადებაში, საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები და სოფლის ხელმძღვანელები:

**„ყველანაირად ვეცადეთ ნატურალური შემოდგომა გამოვვსვლოდა. ღონისძიებაში, თავიანთივე ინიციატივით, აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლის ხელმძღვანელობა და მშობლები. თქვენი გაზეთის საშუალებით საჯაროდ მადლობას ვუხდით მათ.**

განსაკუთრებული მადლობა ჩვენი აღსაზრდელების მშობლებს, დედიკოებს, მამიკოებს და ბებოებს,რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს დღევანდელი დღის გალამაზებაში. დედიკოებმა თათარა მოადუღეს, კვახი დაასუფთავეს, ჩურჩხელები ამოავლეს ბავშვებთან ერთად, მამიკოებმა ყურძენი დაწურეს და ბადაგი დააგემოვნებინეს ჩვენს სტუმრებს. ბებოებმა კეცები გაახურეს და გემრიელი მჭადები დააცხვეს. მომღერალმა დედიკოებმა კი "მრავალჟამიერით" საოცარი ელფერი შემატეს ჩვენი სოფლის განსაკუთრებული სიმსუყით გამორჩეულ შემოდგომას“.

მოკლედ, ვინც „შემოდგომა ჩემს სოფელში“ ნახა, აუცილებლად დამეთანხმება, ვისაც არ უნახავს, იმან უნდა დამიჯეროს, რომ ეს ლიხაურელი მერცხლები თბილ ქვეყანაში გადაფრენას არ საჭიროებენ, რადგან ლიხაურია მათთვის ყველაზე თბილი ქვეყანა.

## როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე

10-12 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა სამგზის მსოფლიო ჩემპიონის როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი უმცროს ასაკში. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდის კახაბერ აბაშიძისა და თენგიზ მუჯირის ჯგუფიდან 59კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ნიკა შიუკაშვილი,** მესამე ადგილი დაიკავა 35კგ წონით კატეგორიაში **ლუკა ბენდელიანმა.** გურამ მაჭარაშვილის ჯგუფიდან 47 კგ წონით კატეგორიაში **მეჯიდ მეჯიდოვმა** მესამე ადგილი დაიკავა.

## ჩვენი ბიჭები ირანში

22-24 ნოემბერს თეირანში ტარდება საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ოზურგეთელი მოჭიდავეები. საქართველოს ნაკრების სახელით იჭიდავებენ 85კგ წონით კატეგორიაში ცოტნე ცინცაძე და 35კ წონით კატეგორიაში ლუკა ბენდელიანი. მწვრთნელები - ვლადიმერ და ზურაბ ზურაბიანები და კახაბერ აბაშიძე.

## აჭარის ღია პირველობაზე კიკბოქსინგში

4-5 ნოემბერს ჩატარდა აჭარის ღია პირველობა კიკბოქსინგში სხვადასხვა ასაკში. მასში საქართველოს 15-მდე ქალაქი მონაწილეობდა. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრიდან 2 სპორტსმენმა მიიღო მომაწილეობა და ორივემ პირველი ადგილი აიღო თავიანთ წონით კატეგორიებში. ესენია: 35 კგ წონით კატეგორიაში - **ლუკა ჭელიძე** და 38კგ წონით კატეგორიაში - **გიორგი სირაძე.** სპორტსმენები მოამზადა მწვრთნელმა **ლაშა ჭეფხოძემ.**

## კარლო გიორგაძის ტურნირზე მძლეოსნობაში

25 ოქტომბერს ქ. ბათუმმა კარლო გიორგაძის ტურნირს უმასპინძლა მძლეოსნობაში, რომელშიც ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში 2004-2005 წლებში დაბადებულებსა და დიდებს შორის.

პატარა ასაკში წარმატებით იასპარეზა 2004 წელს დაბადებულმა **ლაშა ტულუშმა**, რომელმაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა შედეგით 60 მ 8,04, ასევე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა 100 მ-ზე რბენაში ამირან თავართქილაძემ.

სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის მედლებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ბათუმის მერიამ და ბათუმის მძლეოსნობის ფედერაციამ.

გუნდი მოამზადა მწვრთნელმა **მარინე კოტრიკაძემ.** გუნდი მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს **გოჩა კვანტალიანს** მხარდაჭერისათვის.


## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა,
მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 20 ნოემბერი, ორშაბათი | 21 ნოემბერი, სამშაბათი | 22 ნოემბერი, ოთხშაბათი | 23 ნოემბერი, ხუთშაბათი | 24 ნოემბერი- პარასკევი | 25 ნოემბერი, შაბათი | 26 ნოემბერი, კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +11+18 | წვიმა +6+18 | ძლიერი წვიმა, +4+10 | ძლიერი წვიმა 0+6 | ძლიერი წვიმა +1+5 | მზე +1+8 | წვიმა +4+8 |